



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030153414688421

№ 10-140/თ

22 / ოქტომბერი / 2021 წ.

„საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტის ფარგლებში, ფარმაცევტული პროდუქტის ნუსხის, ფასის, პირობების, ბენეფიციარების რეგისტრაციის, მიმწოდებლების ანგარიშგებისა და შესრულე ბული სამუშაოს ანაზღაურების ნუსხის დამტკიცების, აგრეთვე, რიგი ადმინისტრაციულ -სამართლებრივი აქტების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს დირექტორის 2021 წლის 29 მარტის № 10 – 31/თ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების №1.9 დანართის („მედიკამენტებით უზრუნველყოფა“) ფარგლებში, ფარმაცევტული პროდუქტის ნუსხის, ფასისა და პირობების დადგენის მიზნით შექმნილი კომისიის 2021 წლის 7 ოქტომბრის N10 და 2021 წლის 21 ოქტომბრის N11 საოქმოდ გადაწყვეტილებების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 18 აგვისტოს № 01-91/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ-ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში-სააგენტო) დებულების მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტის ფარგლებში, ფარმაცევტული პროდუქტის ნუსხის, ფასის, პირობების, ბენეფიციარების რეგისტრაციის, მიმწოდებლების ანგარიშგებისა და შესრულე ბული სამუშაოს ანაზღაურების ნუსხის დამტკიცების, აგრეთვე, რიგი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ სსიპ-ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს დირექტორის 2021 წლის 29 მარტის № 10-31/თ ბრძანებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული N1 დანართი („მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტით გათვალისწინებული ფარმაცევტული პროდუქტის ნუსხა და ფასი“) შეიცვალოს წინამდებარე ბრძანების N1 დანართით;

ბ) ბრძანების მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული N2 დანართი („პირობები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ „მედიკამენტებით უზრუნველყოფის“ კომპონენტით გათვალისწინებული ფარმაცევტული პროდუქტი“) შეიცვალოს წინამდებარე ბრძანების N2 დანართით.


2. სააგენტოს ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა (მ. ქვარია), უზრუნველყოს ამ ბრძანებისა და მისი N1 და N2 დანართების სააგენტოს სისტემაში შემავალი ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოებისათვის გაგზავნა, აგრეთვე, მათი საჯაროობა, სააგენტოს ვებ-გვერდზე - nha.gov.ge, განთავსების გზით.

3. სააგენტოს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ორგანიზაციული უზრუნველყოფის, მონიტორინგის, სამკურნალო და სამედიცინო საშუალებების ადმინისტრირების დეპარტამენტმა (თ. აბალაძე), უზრუნველყოს ამ ბრძანებისა და მისი დანართების მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტის მიმწოდებელთათვის ხელმისაწვდომობა, ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის მეშვეობით.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს სასარჩელო განცხადებით, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, N64), გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამდასმულია
ელმეზრონულად 

თამარი მელიქიძე